ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 287

„ 25 " ივლისი 2017 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩისთვის, ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, გიული ჭოხონელიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ლუბლიანას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის გიული ჭოხონელიძის სახელის მინიჭების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის №17 დადგენილება.

ბ) დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩას მიენიჭოს გიული ჭოხონელიძის სახელი ახალი სიტუაციური ნახაზის (თანდართული რუკის) შესაბამისად.

გ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


გიული ჭოხონელიძის ქ.
X:480,993.848
Y:4,624,311.157
X:481,063.370
Y:4,624,312.934
X:481,184.831
Y:4,624,313.610
X:481,184.886
Y:4,624,315.253
X:481,244.912
Y:4,624,314.589
X:480,842.616
Y:4,624,312.556
X:480,993.716
Y:4,624,309.305
X:481,063.393
Y:4,624,310.767
X:481,143.830
Y:4,624,314.098
X:481,244.881
Y:4,624,310.445
X:481,280.826
Y:4,624,310.450
X:480,842.674
Y:4,624,304.759
X:480,849.976
Y:4,624,304.917
X:480,850.098
Y:4,624,308.928
X:481,251.093
Y:4,624,302.353
X:481,251.093
Y:4,624,301.665
X:481,280.845
Y:4,624,301.626